აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
ACADEMIC BOARD OF AKAKI
TSERETELI STATE UNIVERSITY

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

26 მარტი, 2022

დადგენილება №39(21/22)

უნივერსიტეტში ვაკანტური აკადემიური თანამდებობების შეთანხმების შესახებ აკადემიური საბჭოს №35(21/22) დადგენილების ნაწილის ბათილად ცნობის შესახებ

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს მომართა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელმძღვანელობამ. მომართვის მიხედვით, ფაკულტეტი ითხოვს რიგ მიმართულებებზე გამოცხადებული კონკურსის შეწყვეტას. ამრიგად, უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რიგ მიმართულებებზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსთან დაკავშირებით დამატებითი კონსულტაციების, რიგი საკითხების დახვეწისა და დოკუმენტის ახალი ფორმატით წარმოდგენის მიზნით, აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ბათილად იქნეს ცნობილი ვაკანტური აკადემიური თანამდებობების შეთანხმების შესახებ აკადემიური საბჭოს №35(21/22) დადგენილების ის ნაწილი, რომელიც ეხება ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიისა და ქართული ფილოლოგიის მიმართულებების შეთანხმებულ ვაკანსიებზე გამოცხადებულ კონკურსს, კერძოდ:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

1. **მიმართულება - ინგლისური ფილოლოგია. ქვემიმართულება - ინგლისური ენა**
   ა) პროფესორი - (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 2 ერთეული.
2. **მიმართულება - ქართული ფილოლოგია. ქვემიმართულება - ქართული ენა**
   ა) ასოცირებული პროფესორი - (სასწავლო დატვირთვა 500 სთ. სამეცნიერო მეთოდური მუშაობა 1000 სთ.) – 1 ერთეული

2. დადგენილება ძალაშია 2022 წლის 26 მარტიდან.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე, რექტორი: პროფ. როლანდ კოპალიანი